



მერივერდი
გინგლითიქა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

1966 წ. № 171 (3148) საქართველო. შაბათი. ფასი 3 კპპ.

საპარტეზლოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების აკადემიისა და პრინციპალური რედაქციის სახელით

გამოცემის
მ. ვ. წელი

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов



სურათი სურათი...

- ◆ ბრინჯი (იტალია), 2 სექტემბერი. იუნიორ კალათბურთელთა აქმიონარე სპორტსკოლის ტურნირში „სამხრეთის თასზე“, საბჭოთა სპორტსმენებმა დაამარცხეს ესპანეთის ნაკრები — 93:66.
- ◆ მოსკოვი, 2 სექტემბერი. სსრ კავშირის თასის მფლობელი — მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდი სასპარტოზოდ გაფრინდა იტალიის ქალაქ ბოლონიაში. აქ მისი მეტოქეები იქნებიან ესპანეთის ჩემპიონი „ატლეტიკო“ (მადრიდი), რუმინეთის „სტიაგულ როშე“ და ადგილობრივი „ბოლონია“.
- ◆ მილანი, 2 სექტემბერი. ადგილობრივ სტადიონზე გამართულმა ვეტერანთა მატჩმა სულ 4 ათასი მაყურებელი მიიზიდა. ერთ გუნდში თამაშობდნენ ვერონისა და სამხრეთ ამერიკის ყოფილი „ვარსკლავები“, ხოლო მეორეში — წარსულში სახელგანთქმული იტალიელი ფეხბურთელები. ნაკრებთა შედეგებში იყვნენ დი სტეფანო, ფონტინი, ვიოლა, სკოლუნდი... გამარჯვებულმა ვეტერანებმა — 4:2.
- ◆ ბუდაპეშტი, 2 სექტემბერი. ევროპის ჩემპიონი ათქილში გახდა დასავლეთგერმანელი მძღვეოსანი ვერნერ ფონ მოლტკე — 7.740 ქულა. შემდეგ ადგილებზე არიან: 2. ბ. მატეისი (გერ) — 7.614, 3. უ. ბაიერი (გერ) — 7.562, 4. მ. კლაუსი (გერ) — 7.448, 5. რ. აუნი (სსრ კავშირი) — 7.378, 6. ი. ოტსმა (სსრ კავშირი) — 7.236.
- ◆ წუსელ შვიტყეთ „კლასის IV ზონის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების გუნდის წევრი ტურის მატჩების შედეგები: „ცენტი“ (ნოვოროსისკი) — „ლენინგრადი“ (კაფანი) 1:0, „უროჟაი“ (კრიშკი) — „არაჟაი“ (ერევანი) 1:0, „უროჟაი“ (მაიკოი) — „ლორი“ (კიროვავანი) 5:1, „ურალანი“ (ელისტა) — „სეკანი“ (ოქტემბერიანი) 1:0, „მაშინსტროიტელი“ (პიატიკორსკი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:0, „სპარტაკი“ (ორჯონიძე) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 6:1, „დინამო“ (მასჩყალა) — „დილა“ (გორი) 0:0, „უროჟაი“ (დებუნტი) — „მუშატე“ (ტყიბული) 0:1.

დაუმარცხებლად

ბრალა, 2 სექტემბერი. ჩეხოსლოვაკიის ოთხ ქალაქში — პრაღაში, ნიტრაში, ჩეკ-ბუდეიოვიცეში და იიგლავაში გაიმართა ფრენბურთულ ვაკეთა მსოფლიო ჩემპიონატის II და III ტურის მატჩები. სსრ კავშირის ნაკრებმა (ნიტრაში) II ტურში დაამარცხა საფრანგეთის გუნდი — 3:0, ხოლო III ტურში — კუბელი ფრენბურთელები — 3:0 (15:13, 15:5, 15:8). ნიტრის გუნდში ავევი დაუმარცხებლად მიიწვეს წინ გდრ-ის ნაკრები. გერმანელებსაც 3 გამარჯვება აქვთ. III ტურში მათ „იმსხვერპლეს“ საფრანგეთის ნაკრები — 3:0.

მოგვიყვან ქვეყნებში ჩატარებული მატჩების შედეგები:

I (პრაღა). ჩეხოსლოვაკია — იუგოსლავია 3:1 (15:8, 11:15, 18:16, 15:12), გერ — დანია 3:0 (15:3, 15:2, 15:7). ისრაელმა უარი განაცხადა ჩემპიონატში მონაწილეობაზე და მის მაგივრად თამაშობს დანიის ნაკრები.

II (ნიტრა). საფრანგეთი — კუბა 2:3 (13:15, 15:6, 15:13, 7:15, 8:15), გერ — უნგრეთი 3:0 (15:5, 15:13, 15:6).

III (ჩეხა-ბუდეიოვიცე). პოლონეთი — რუმინეთი 3:2 (6:15, 12:15, 15:13, 16:14, 15:5), პოლანდია — თურქეთი 3:0 (15:9, 15:13, 15:11).

IV (იიგლავა). ბულგარეთი — ბრაზილია 3:0 (15:13, 15:13, 15:7), ბელგია — ფინეთი 3:2 (15:9, 6:15, 15:9, 9:15, 15:8).

გრემბურტი

თასი — „გურიას“

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 1 სექტემბერი.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:0 (1:0).

„გურია“: ურუშაძე, სანაძე, ნეზურიშვილი (ჯორბენაძე), წილოსანი, წერეთელი, ჯავახილი, კვიციანი, ჩხარტიშვილი, ნარიაშვილი, ჭყონია, სიხარულიძე.

„მეტალურგი“: ვახიკიანი, ნიკოლეიშვილი, ალხაზიშვილი, შეყრილაძე, მაღლაკელიძე (ციციანი), მესხიშვილი, ჩუბინიძე (წვენიანიშვილი), ბელოვი, სხილაძე, ჯანშიყვი, ფანცხავა.

მსაჯი კ. ყრუაშვილი (თბილისი).

ფინალურ მატჩს საქართველოს თასზე საკმაოდ ჰყავდა მაყურებელი, მაგრამ მათ მიმართ, ვინც ამ შეხვედრას არ ესწრებოდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი დააკლდნენ მეტად საინტერესო, დაძაბული ბრძოლით აღსავსე თამაშს, რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურა უკვე მყოფი გუნდების შეუპოვარ ბრძოლას.

მინდორი ნაწილობრივ და „დამძიმებული“ იყო. ამიტომ, შესტაფონელთა მიერ პირველივე წუთებიდან აღებულმა მაღალმა ტემპმა ერთგვარი გაკვირვება გამოიწვია. ძნელად, რომ გავძლიოთ ასეთი სიწარფით თამაშისთვის. სავარაუდოდ იყო, რომ გუნდი დაიკლდებოდა და ინიციატივასაც მეტოქეს ჩააბარებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მეტალურგებმა ბოლომდე შეინარჩუნეს მაღალი ტემპი და, მართალია, დამარცხება განიცადეს მოზრდილი ანგარიშით, მათმა თამაშმა საყოველთაო მოწონება პოვა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ დამარცხებულსაც და გამარჯვებულსაც ერთმანეთის შესაფერისი აღმოჩნდნენ.

ზესტაფონელთა თავდასხმა განუწყვეტელ მოქმედებაში იყო. სხილაძე, ფანცხავა, ბელოვი შეუვინებელი უტყვედნენ მეტოქის კარს, სავსებით იერიშებში აქტიურად მოქმედებდა ნაყვარცველი მეტოქეები და ამ ძლიერი დაწოლის გამო ლანჩხუთელებმა ვერ შეძლეს საერთო კონტრათამაშის შექმნა. მაგრამ საკმარისი იყო „გურიას“ წამოეწყოს ეპიზოდური შეტევა და მოპირდაპირე გართან მაშინვე იქმნებოდა სასიყვართო მომენტი. 20 წუთის განმავლობაში ბურთი თითქმის არ მოცილებია ლანჩხუთელთა კარს, მაგრამ აი, „გურია“ პირველად შეუტია და ჩხარტიშვილი უკვე საგოლე პოზიციაში აღმოჩნდა.

25-ე წუთზე სხილაძემ ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა დაკარგა. 3 წუთის შემდეგ ურუშაძეს სელოდან გაუგარდა ბურთი და მისი გუნდი აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. კარი იხსნა წილოსანმა, რომელმაც თავით გამოიტანა ბურთი ზედ ხაზიდან.

38-ე წუთზე ლანჩხუთელებმა კარგად გაითამაშეს საჯარიმო დარტყმა. სანაძემ ბურთი საჯარიმო მოედანზე დაკიდა, ვახიკიანი უხეში შეცდომა დაუშვა და ჭყონიამაც ანგარიში გახსნა — 1:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში ზესტაფონელები გენერალურ იერიშზე გადავიდნენ. 10 წუთის განმავლობაში „გურია“ იცავდა თავს როგორც კი შეეძლო, მცდელები და მეგარე განუწყვეტელ ბრძოლაში.

სურათზე: საქართველოს თასის წმენდელი მფლობელი — ლანჩხუთის „გურია“ (მარცხნივ) მარჯვნივ: რ. ჩხარტიშვილი, ნ. ნარიაშვილი, უ. ჭყონია, ნ. წერეთელი, გ. ჯორბენაძე, ვ. წილოსანი, ჯ. ჯავახილი, ბ. სიხარულიძე, უ. სანაძე, კ. ურუშაძე, თ. კვიციანი; ქვეით — გუნდის მწვრთნელი შ. კაკაბაძე.

ლირეული მემკვიდრე

თანამედროვე ხუთბიძე მისკოვს დამთავრებული საკავშირო შეჯიბრება პირველი იყო, რომელშიც მსოფლიოს ოთხ ზონის ჩემპიონი ი. ნოვიკოვი არ ასპარეზობდა. როგორც ცნობილია, მან მწვრთნელობას მიჰყო ხელი. სამაგიეროდ, სახელობანი მასწავლებლის ესტაფეტა მიიღო მისმა თანაკლასელებმა, გრეგორი გ. ზახარენკომ, რომელმაც პირველად მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი.

აი, როგორ იწრებოდა გამარჯვება: საცხენოსო კროსი — 1.070 ქულა (IV ადგილი), ფარიაკობა — 1.031 (II), სროლა — 978 (IV), ცურვა — 1.072 (I), მძლეოსნური კროსი — 1.045 (III); საბოლოო ჯამში 5.196 ქულა.

მომდევნო საპირის ადგილებზე არიან: II. პ. ლენინგი (უკრაინა) — 5.002 ქულა, III. გ. მიხეივი (მოსკოვი) — 4.873.

ბრატისლავა, 2 სექტემბერი. უნგრელ ხუთბიძეებს, რომელთა ოსტატობა საქვეყნოდ ცნობილია, შესანიშნავი ცვლა ჰყავთ; ეს დაამტკიცა პ. კელენტი, რომელმაც 5.277 ქულით დაიკავა შორის მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა.

თანამედროვე ხუთბიძე მსოფლიო ჩემპიონატის II პრიზიორი აგრეთვე უნგრელი სპორტსმენი რ. ბაკო (5.253 ქულა) გახდა. „ბრინჯაო“ ერგო პ. გრამერს (გერ) — 5.106. საუკეთესო ათეულში მოხვდა ორი საბჭოთა სპორტსმენი: ვ. ვერენიკი (VI ადგილი, 4.946) და ვ. დრიუკოვი (VIII, 4.800).

გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს გდრ-ის ათლეტებმა — 11.515. უნგრელები მათ 113 ქულით ჩამორჩნენ. სსრ კავშირის გუნდი III ადგილზე გავიდა — 10.732.

შეჯიბრების ბოლო დღეს ასპარეზობდნენ მძლეოსნურ კროსში. გუნდურ ბრძოლაში გაიმარჯვეს უნგრელებმა (3.800). გდრ-ისა და სსრ კავშირის სპორტსმენებმა ქულათა ერთნაირი რაოდენობა (3.662) დააგროვეს და II-III ადგილები გაიყვეს. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა ბაკო (1320), დრიუკოვი ფინიშზე მეტხე იყო (1268).

